THE BGA ROAR

NEWSLETTER BY
British-Georgian Academy

მნიშვნელოვანი თარიღები:

თებერვალი

2 თებერვალი: პირველი სემესტრის დასასრული
2 თებერვალი: წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღე
5 თებერვალი: მეორე სემესტრის დასაწყისი
5 თებერვალი: DP საგნების წარდგენა მეათე კლასელთათვის
6 თებერვალი: შეხვედრა სასწავლო პროგრამების შესახებ (მე-8 კლასელთა მშობლებთან)
7-9 თებერვალი: IPC თემების დახურვა (I, II კლასები)
12 თებერვალი: სახვითი ხელოვნების მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა
21 თებერვალი: IGCSE გამოცდებზე რეგისტრაციის ბოლო დღე
22-23 თებერვალი: კალათბურთის ტურნირი სკოლებს შორის
26 თებერვალი-1-ელი მარტი: წიგნის კვირეული

ახალი ლოქერები მოსწავლეებისთვის

იანვრის თვეში აკადემიის მესამე სართულზე მოსწავლეებისთვის დამონტაჟდა ახალი ლოქერები.

ძვირფასო მშობლებო

დასრულდა ზამთრის არდადეგები და აქტიურად დავუბრუნდით სასკოლო ცხოვრებას. სკოლაში ფუსფუსი და ხალისი არ წყდება. დაწყებითი კლასები გაზაფხულის ზეიმისთვის ემზადებიან, უფროსკლასელები კი გამოცდების მოლოდინში არიან.

სადიპლომო პროგრამის მოსწავლეებმა უკვე გააგზავნეს აპლიკაციები მსოფლიოს სხვადასხვა წამყვან უნივერსიტეტში და პირობითი ჩარიცხვის პასუხიც ბევრს მოუვიდა.

კემბრიჯის პროგრამის მეათე კლასელების საგამოცდოდ რეგისტრაციის პროცესი CIE Direct პლათფორმაზე აქტიურად მიმდინარეობს.

აკადემიაში არაერთი გასვლითი საგანმანათლებლო ტურისთვის ვემზადებით. მათ შორისაა ვიზიტი ცერნში, შვეიცარიის ბირთვული კვლევების ცენტრში; ინგლისში - ბირმინჰემის მუსიკალურ ფესტივალზე; თურქეთში - საკალათბურთო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად და კიდევ ბევრი სხვა.

აკადემიის მოსწავლეები ჩვენი პარტნიორი, თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის მოსწავლეებთან ერთად აკადემიის გაზეთის გამოცემაზე აქტიურად მუშაობენ და მოუწოდებენ მოსწავლეებს, გაუგზავნონ სხვადასხვა შინაარსის ნამუშევრები, რათა ჩვენი გაზეთი სახალისო, შემეცნებითი და მამოტივირებელი გამოვიდეს.

იანვრის თვეში ქართულ უნივერსიტეტებსაც ვუმასპინძლეთ და საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩიც მოვიგეთ. შეგროვილი თანხა დამწყები საფეხბურთო კლუბის მხარდასაჭერად გაიგზავნა საგარეჯოში.

29 იანვრის დილის ყავაზე მშობლებთან საინტერესო თემებზე ვისაუბრეთ.

დაუღალავად ვდგავართ ჩვენი სასკოლო საზოგადოების სამსახურში.

უმცროსკლასელთა ასამბლეა

18 იანვარს, დაწყებითი საფეხურის ასამბლეის ფარგლებში სკოლას ესტუმრა მოწვეული სტუმარი, პროფესიით ექიმი, რომელიც მოსწავლეებს ესაუბრა ვირუსული ინფექციებისგან თავის დაცვის ეფექტურ საშუალებებზე და უპასუხა დაინტერესებულ მოსწავლეთა კითხვებს.

მოსწავლეები მოზარდ მაყურებელთა თეატრში

ჩვენმა უმცროსკლასელებმა მოზარდ მაყურებელთა თეატრი მოინახულეს და ისიამოვნეს ჩარლზ დიკენსის ნაწარმოების მიხედვით დადგმული სპექტაკლით - "საშობაო სიმღერა".

"ყვავილები მომავლისთვის"

Flowers for the Future

სადიპლომო პროგრამის მოსწავლეებმა სასიამოვნო სიახლით გაგვახარეს. ისინი CAS-ის საგნის ფარგლებში ავღანელ თანატოლებს გლობალური პოლიტიკისა და ბიზნესის საგნის დაუფლებაში დაეხმარებიან. ონლაინ გაკვეთილების ჩატარება ავღანელ გოგონებს სკოლის დამამთავრებელი სერტიფიკატის მოპოვებაში დაეხმარება.

408 ქულა TAMAR MEPE

388 ქულა RUSTAVELI

370 ქულა PIROSMANI

342 ქულა ILIA

IGE-ის დაჯილდოების ცერემონია

ბრიტანულ-ქართული აკადემია წლებია, UCMAS Georgia-ის ერთ-ერთი პარტნიორია და თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში, 100-ზე მეტი მოსწავლე გადის მენტალური არითმეტიკის პროგრამას. ყოველი წლის ბოლოს კი კლუბში ჩართული მოსწავლეები აბარებენ IGE-ის (International Grading Exam) საერთაშორისო გამოცდას.

აკადემიამ წლის ბოლოს, შედეგების აღსანიშნავ, შემაჯამებელ დაჯილდოების ცერემონიას უმასპინძლა. ამ საზეიმო საღამოზე წარმატებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ, UCMAS Georgia-მ განვლილი წელი შაჯამა და მომავალი წლის გეგმები გააცნო მშობლებს.

მოხარულები ვართ, რომ შეგვიძლია, ჩვენს მოსწავლეებს მსგავსი საინტერესო და განმავითარებელი კლასგარეშე კლუბები შევთავაზოთ.

სპორტული სიახლეები

ბრიტანულ-ქართული აკადემიის სადიპლომო პროგრამის (DP) მოსწავლეების ინიციატივით გაიმართა საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩი, რომელიც DP-ის მოსწავლეებით დაკომპლექტებული გუნდის გამარჯვებით დასრულდა. ჩვენი გუნდი ქართული პროგრამის მოსწავლეებს დაუპირისპირდა. შემოსული თანხით მოსწავლეები დაეხმარნენ საგარეჯოს საფეხბურთო გუნდს და შეიძინეს საჭირო ინვენტარი მათთან გასაგზავნად.

30 იანვარს BGA-ის ხელბურთის გუნდმა მორიგი ტურნირი მოიგო მშობლებისა და გულშემატკივრების თანდასწრებით. ვულოცავთ ჩვენს გუნდს გამარჯვებას და დიდი მადლობა მათ მწვრთნელს, ბატონ ლუკა გორგოძიანს სპორტის ამ სახეობის სკოლაში პოპულარიზაციისთვის.